ფარმაცია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები: ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება;

პროგრამის მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებს ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება;
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები;
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

ფარმაციაში ასოცირებული ხარისხის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 123 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 22 სასწავლო თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს ავერსი
2. შპს აფთიაქი დიანა
3. შპს აფთიაქი აბი